ევროპის მწვანეთა წესდება

“ევროპის მწვანეთა პარტიის” სახელმძღვანელო პრინციპები

მიღებულია “ევროპის მწვანეთა პარტიის” მე-2 ყრილობაზე
ჟენევა, 2006 წლის 13-14 ოქტომბერი

ვინ ვართ ჩვენ

ევროპის მწვანეები სიამაყით აცხადებენ, რომ ემხრობიან დედამიწაზე კაცობრიობის მდგრად განვითარებას, განვითარებას, რომელიც ადამიანის უფლებების პატივისცემის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, თავისუფლების, სამართლიანობის, მრავალფეროვნების და ძალადობაზე უარის თქმის პრინციპებს ეფუძნება.

ევროპის მწვანეთა პოლიტიკური მოძრაობა წარმოიშვა, როდესაც კონტინენტი ორად იყო გახლეჩილი ცივი ომის მიერ, რასაც თან სამოცდაათიანი წლების ენერგო-კრიზისი ერთვოდა. იმ დროს ცხადი გახდა, რომ ეკონომიკის განვითარების არსებული სქემები არამდგრადია და პლანეტას და მის მაცხოვრებლებს დიდ გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საფრთხეებს უქმნიან. არსებული პოლიტიკური პარტიები ვერ ახერხებდნენ ამ პრობლემების მოგვარებას.

ჩვენს წარმოშობას საფუძველი რამოდენიმე სოციალურმა მოძრაობამ დაუდო: გარემოს დამცველება და ბირთვული ტექნოლოგიების წინააღმდეგ მებრძოლმა აქტივისტებმა, რომლებიც პლანეტის წინაშე მდგარი მრავალი საფრთხით იყვნენ შეშფოთებულები; ძალადობის მოწინააღმდეგეებმა და მშვიდობისთვის მებრძოლმა აქტივისტებმა, რომლებიც კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიულ, მშვიდობიან გზებს ეძებდნენ; ფემინისტებმა, რომლებიც მამკაცებსა და ქალებს შორის რეალური თანასწორობის მისაღწევად იბრძოდნენ; თავისუფლების და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლმა მოძრაობებმა, რომლებიც ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ იბრძოდნენ; მესამე მსოფლიოს სოლიდარობის მოძრაობებმა, რომლებიც კოლონიზაციის დასრულებას და ჩვენი პლანეტის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ეკონომიკურად უფრო დაბალანსებულ ურთიერთობებს უჭერდნენ მხარს; ჩვენი საზოგადოების შიგნით სირარიბის და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლმა აქტივისტებმა.

სწორედ ამ იდეების გარშემო გაერთიანდნენ ევროპის მწვანეები და საკუთარი პოლიტიკური ოჯახი შექმნეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ ევროპას, რომელიც მშვიდობიან, თანასწორ და ეკოლოგიურად მდგრად მსოფლიოში იარსებებს. ჩვენ ვიცავთ ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა სამართლიანობა, ადამიანების და მოქალაქეების უფლებები, სოლიდარობა, მდგრადობა და ყველასათვის საკუთარი, შიშისაგან თავისუფალი ცხოვრების თავად წარმართვის უფლება.

დასაწყისიდანვე მწვანეები მხარს უჭერდნენ გლობალურ აზროვნებას და ადგილობრივ დონეზე ქმედებას. ევროპის დონეზე თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით 1984 წელს საკოორდინაციო ორგანო შეიქმნა, რომელიც 1993 წელს “მწვანეთა პარტიების ევროპულ ფედერაციად” გადაკეთდა. 2004 წელს, თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, “ფედერაცია” “ევროპის მწვანეთა პარტიად” გარდაიქმნა. ევროპის მწვანეები მსოფლიოს სწრაფად ზრდადი მწვანეთა მოძრაობის ნაწილს წარმოადგენენ.

სახელმძღვანელო პრინციპები

სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც "ევროპის მწვანეთა პარტიის" წევრი პარტიების პოლიტიკური ქმედებების ჩარჩოებს წარმოადგენენ, შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

ჩვენს ბიოსფეროზე პასუხისმგებლობა მწვანეთა ღირებულებების ცენტრალური იდეა გახლავთ. საზოგადოება ეკოლოგიურ რესურსებზე და პლანეტის ჯანმრთელობასა და მდგრადობაზე არის დამოკიდებული, და ჩვენ გვაკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, რათა მათ ღირსეული მემკვიდრეობა დავუტოვოთ.

ჩვენ მყარად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ცხოვრება არსებული ეკოლოგიური რესურსების შესაბამისად უნდა წარიმართოს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ბიომრავალფეროვნება და ვებრძოლოთ გლობალურ დათბობას, და ეს განახლებადი რესურსების გამოყენებით და არა-განახლებად რესურსების დაცვით უნდა განხორციელდეს. მსოფლიოს ზრდადი მოსახლეობის საკვებით დაკმაყოფილების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების პასუხისმგებლობით მოხმარება. მაგრამ, ასეთი პრაგამტული მიდგომის გარეშეც, მწვანეებს სჯერავთ, რომ ჩვენს პლანეტაზე არსებული მრავალფეროვანი სახეობებიდან თითოეულს უნიკალური ფასეულობა და სილამაზე გააჩნია და, შესაბამისად, დაცვას იმსახურებს.

ევროპაში არსებული მოხმარების, წარმოების და ვაჭრობის მოდელებს შედეგად მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის სიღარიბე მოაქვთ და გარემოს ძლიერ დეგრადაციას და კლიმატურ არასტაბილურობას იწვევენ. ინდუსტრულიად განვითარებულ და ინდუსტრიალიზაციის გზით მიმავალ ქვეყნებს აღარ აქვთ უფლება გადადონ ამ პრობლემების გადაჭრა. არსებული მოდელების შეცვლას აუცილებლად სჭირდება ღრმა გარდაქმნა, თუკი ჩვენ გვინდა საკუთარი სახლისათვის დამანგრეველ ექსპლუატაციას ბოლო მოვუღოთ.

ჩვენს წინაშე მდგარი პოლიტიკური ამოცანა გლობალური დღის წესრიგის ისე შეცვლას გულისხმობს, რომ ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკები სოციალურ და გარემოსდაცვით მიზნებზე იყვნენ აგებული, და არა უბრალოდ ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისაკენ ისწრაფოდნენ. ჩვენი პასუხი მდგრადი განვითარებაა – იდეა, რომელიც ყველასათვის მომგებიან გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ პრინციპებს ეფუძნება. მდგრადი განვითარების მიღწევა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს, ინდუსტრიალიზაციის გზაზე მდგარ სახელმწიფოებს და განვითარებულ სამყაროს შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრისაკენ მიმართული გლობალური თანამშრომლობის შედეგად არის შესაძლებელი. მსფლიოს თითოეულ მოქალაქეს ერთნაირი უფლებები გააჩნია და მსოფლიო რესურსების თანაბარი წილი ეკუთვნის, ისევე როგორც მომავალი თაობების წინაშე თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრია.

მწვანეები ყოველთვის ცდილობენ პრევენციის პრინციპი გამოიყენონ. ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ზომებს, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს პოტენციალურ საფრთხეებს უქმნიან. მაგრამ ჩვენ პრევენციული ზომების ნებისმიერ გადადებასაც შევეწინააღმდეგებით, თუკი ეს მხოლოდ იმის გამო მოხდება, რომ

სამეცნიერო კვლევები საკმარისი რაოდენობით არ განხორციელებულა. რომელ სფეროსთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე – მშვიდობა, ენერგეტიკა, საკვები და სოფლის მეურნეობა, მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ, ტრანსპორტი, ტექნოლოგიები, მედიცინა – გადაწყვეტილებების მიღება და ქმედებების განხორციელება სისტემატურად ყველაზე ნაკლებად საზიანო მეთოდებით უნდა ხდებოდეს.

რაც შეეხება კონკრეტულად ბირთვულ ენერგიას, მწვანეები მხარს უჭერენ ბირთვული ტექნოლოგიებისგან თავისუფალ ევროპას, რადგან ისინი სამოქალაქო და სამხედრო საფრთხეებს ქმნიან, რადგან ისინი მომავალი თაობების უფლებებს ზღუდავენ და რადგან ისინი ძალიან ძვირადღირებული უსაფრთხოების აპარატის არსებობას მოითხოვენ. მწვანეებისთვის პრიორიტეტს დეცენტრალიზებული და განახლებადი ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარება წარმოადგენს.

თავისუფლება თვითგამორკვევის გზით

- **პირადი ავტონომია**

  ჩვენ, მწვანეებს, გვჯერავს, რომ ყველა ადამიანს – მიუხედავად სქესისა, ასაკისა, სქესობრივი ორიენტაციისა და იდენტურობისა, ეთნიკური წარმომავლობისა ან ჯანმრთელობის მდგომარეობისა – გააჩნია უფლება გააკეთოს დამოუკიდებელი არჩევანი, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრები და თავად გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს. თავისუფლება არა მხოლოდ მატერიალურ საკუთრებას შეეხება; იგი ადამიანის ცხოვრების სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და სულიერ განზომილებებსაც მოიცავს.

  ამ განუყოფელი უფლებების დაცვა კანონის მეშვეობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი და ისინი სკოლებში უნდა ისწავლებოდნენ, როგორც ჩვენი საზოგადოების არსებობის საფუძვლები. მათი უზრუნველყოფა ადამიანების გაძლიერების, ყველა ქალისა და მამაკაცისთვის საკუთარი სიცოცხლის და ოჯახების თავად განკარგვის შესაძლებლობის და, სადაც საჭიროა, ღირსეული ცხოვრების წარსამართად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის აუცილებლი სოციალური და მატერიალური მხარდაჭერის აღმოჩენის მეშვეობით უნდა ხდებოდეს. იქ სადაც ეს უფლებები ირღვევა, ჩვენ, მწვანეები, ვიბრძოლებთ მათ მოსაპოვებლად; ჩვენ შევეცდებით ყველგან დავნერგოთ სოლიდარობა, განათლება, განვითარებისთვის თანამშრომლობა და დაცვა ძალადობისაგან, ზეწოლისაგან და დისკრიმინაციისგან.

- **მონაწილეობითი დემოკრატია**

  დემოკრატიაში ჩვენი რწმენა ყველა ადამიანის თანასწორობის აღიარების პრინციპს ემყარება. იმისათვის რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი მაქსიმალური ეფექტურობა, პოლიტიკური და გადაწყვეტილებების მიღების პროცესები დემოკრატიული, მონაწილეობითი, გამჭვირვალე და უბრალო მოქალაქეებისთვის სრულებით გასაგები უნდა იყვნენ. მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცლიბელი რადიკალური ცვლილებები მოითხოვენ, რომ პასუხისმგებლობა და ტვირთი ყველაზე ერთნაირად იქნას გადანაწილებული.

არჩეული წარმომადგენლები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ამომრჩევლების აზრი და მიაწოდონ მათ სათანადო ინფორმაცია გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

ჩვენ ყოველთვის გლობალურად უნდა ვიაზროვნოთ, მაშინაც კი, როდესაც ადგილობრივ დონეზე ვმოქმედებთ. მოქალაქეების მონაწილეობის და მათი სარგებლის უმაღლესი დონის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების რაც შეიძლება დაბალ დონეზე მინიჭება. და პირიქით, როდესაც პრობლემა ქმედებების უფრო მაღალ დონეზე განხორციელებას მოითხოვს, აუცილებელია უფრო დაბალი დონეების ინტერესების გათვალისწინება და არსებული განსხვავებების მიმართ პატივისცემის გამომჟღავნება. უმცირესობების ინტერესებს შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს და ისინი სათანადოდ უნდა იქნან დაცული.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპაში – ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და ეროვნებათაშორის დონეებზე – დემოკრატიის გაძლიერებას. ჩვენ გვსრს გავაძლიეროთ დემოკრატიული პასუხისმგებლობა და მრავალმხრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება.

გაზრდილი სამართლიანობა

მწვანეთა პოლიტიკა სამართლიანობის პრინციპებს ეფუძნება. ეს საზოგადოებრივი სიკეთეების სამართლიან განაწილებას, ხოლო ეს, თავის მხრივ, საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილის საჭიროებებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. დაუცველების მიმართ ყურადღების გამოჩენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას გლობალურ დონეზე იძენს, რადგან ევროპას განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობის პასუხისმგებლობა აკისრია. რადგანაც ჩვენ ცვლადი მსოფლიოს პრობლემების მოგვარების ვალდებულება გვაქვს აღებული, სამართლიანობის ჩვენეული გაგება ტრადიციული გადანაწილების საზღვრებს მნიშვნელოვნად სცილდება. მწვანეები მხარს უჭერენ სოციალურ სამართლიანობას, გენდერულ თანასწორობას, თაობებს შორის სამართლიან ურთიერთდამოკიდებულებას და სამართლიანობას გლობალურ დონეზე. მიუხედავად მათ შორის არსებული პრაქტიკული კონფლიქტებისა, სამართლიანობის ეს განზომილებები არ უნდა გამოიყენებოდეს ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

- **სოციალური სამართლიანობა** საზოგადოებრივი რესურსების – განათლების, სამუშაოს და დემოკრატიული თანამონაწილეობის – ყველასთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. თანაბარი ხელმისაწვდომობა დაცული უნდა იქნას არსებული სოციალური უთანასწორობებისაგან და ინსტიტუციონალურ დონეზე უნდა იქნას უზრუნველყოფილი. ცხოვრებაში წარმატების ერთერთი ძირითადი ფაქტორი განათლებაა. საკუთარი შრომითი უნარების გამოყენება საკუთარი შრომის ნაყოფის გამოყენების და, შესაბამისად, საკუთარი იდენტურობის ძირითადი ნაწილის განსაზღვრის შესაძლებლობას გვიქმნის. დემოკრატიული თანამონაწილეობის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას და მის სტრუქტურაზე ზეგავლენის მოხდენას.

- **გენდერული თანასწორობა.** სამართლიანობა აგრეთვე გენდერულ თანასწორობას მოიცავს. კაცებს და ქალებს საზოგადოებრივი მოწყობის განსაზღვრის თანასწორი უფლება უნდა გააჩნდეთ. მეტიც, მათ საკუთარი ცხოვრების ყოველგვარი ძალადობისაგან თავისუფალი გზით წარმართვის შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ. ჩვენ, მწვანეებს, გვსურს შევქმნათ ინსტიტუციონალური მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ქალის თანასწორობას ოჯახში, სამუშაოზე, საზოგადოებაში, საჯარო სამსახურში და ნებისმიერ სხვა ადგილებში. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ საოჯახო და პროფესიონალური ცხოვრების ჰარმონიულობას ორივე სქესისათვის.
- **სამართლიანი ურთიერთდამოკიდებულება თაობებს შორის.** დღეს ლოზუნგი "ეს მსოფლიო ჩვენ მომავალი თაობისაგან მხოლოდ ნასესხები გვაქვს" ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. დღეს ჩვენი შვილების მომავალს საფრთხე ემუქრება. თაობებს შორის სამართლიანი ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობს უფროსი თაობის ვალდებულებას დაუტოვოს მომავალ თაობას მდგრადი ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობა. იგი აგრეთვე მოიცავს ახალგაზრდა თაობის ვალდებულებას სათანადოდ იზრუნოს მოხუცებულ ადამიანებზე. აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა თაობის თანასწორუფლებიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- **გლობალური სამართლიანობა.** სამართლიანობას ჩვენ საერთაშორისო დონეზეც ვუჭერთ მხარს. რაც მეტად აერთიანებს ადამიანებს გლობალური ეკონომიკა და რაც უფრო მეტად ზრის ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას, მით მეტად სავალდებულო ხდება ამ მორალური იმპერატივის გათვალისწინება. გლობალური სამართლიანობის ჩვენეულ კონცეფციას მსოფლიო მდგრადი განვითარების და ადამიანის უნივერსალური პრინციპები უდევს საფუძვლად. მათ ზურგს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის და სამართლიანი ვაჭრობის დამოუკიდებელი ინსტიტუციონალური მონიტორინგის კონცეფცია უნდა უმაგრებდეს.

სამართლიანობა სოლიდარობას, არა-დსკრიმინაციას და მოქალაქეთა თანამონაწილეობას მოითხოვს. სოლიდარობა საკუთარ თავში დარწმუნებული ინდივიდების ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს – იგი აძლიერებს მოქალაქეებს და თავს მოხვეული ზრუნვისაგან ათავისუფლებს. ყველა საჯარო სამსახური მოქალაქეებთან უნდა თანამშრომლობდეს სოლიდარობის დამცავი და გამაძლიერებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბების სფეროში. ამ მიზნით, ჩვენ აგრეთვე გვსურს განვავითაროთ ქსელები და საზოგადოებები, რომლებიც, სახელმწიფოს წახალისებით, ურთიერთ დახმარების პრინციპზე არიან აგებული.

მრავალფეროვნება აუცილებელი პირობაა

ცივილიზაციების, საზოგადოებების და კულტურების ამდენად დიდი რაოდენობის წარმოქმნა დივერსიფიკაციის გამო გახდა შესაძლებელი. ჩვენ, მწვანეები, თავადაც მრავალი და მრავლფეროვანი მოძრაობების შერწყმის შედგეად შექმნილ გაერთიანებას წარმოვადგენთ, და ჩვენ გვჯერავს, რომ მრავალფეროვნება საქმიანობის ყველა სფეროში წარმატების, შეიძლება ითქვას გადარჩენისაც კი, აუცილებელი წინაპირობა და ერთადერთი საშუალებაა. მრავალფეროვნება აძლიერებს ორგანიზაციების და ჯგუფების მოქნილობას და წინააღმდეგობის უნარს, როდესაც ისინი მოულოდნელი წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩნდებიან.

იგი გვიცავს ჩვენ არა-ტოლერანტობის, ექსტრემიზმის და ტოტალიტარიანიზმისაგან. და იგი შთაგონების და განახლების წყაროს წარმოადგენს.

ადამიანების მრავალფეროვნებას შეიძლება ძალზედ ბევრი განზომილება გააჩნდეს: გენდერული, სოციალური, კულტურული, სულიერი, ფილოსოფიური, რელიგიური, ენობრივი, ეკონომიკური, ეთნიკური, სექსუალური, რეგიონალური. ის შეიძლება კონკრეტული ადამიანების ან სოციალური ჯგუფებისთვის იყოს დამახასიათებელი. ჩვენ ვზრუნავთ ასეთ მრავალფეროვნებაზე. თუმცა, დაუშვებელია მისი ნებისმიერ დროს უნივერსალური უფლებების ეჭვქვეშ დაყენების მიზნით გამოყენება.

როდესაც ადამიანებს შეზღუდულ სივრცეში თანაარსებობა უწევთ, შესაძლებელია მრავალფეროვნება აღიქმებოდეს, როგორც საშიშროება. ძალიან მცირე თემებშიც კი, ძლიერები ხშირად ცდილობენ თავს მოახვიონ დანარჩენებს თავიანთი დომინანტური როლი, ხოლო სუსტები იძულებულნი არიან დაემორჩილონ მათ. შესაბამისად, მრვალფეროვნება საჭიროებს აღიარებას, ურთიერთგაგებას და დაფასებას და, სამწუხაროდ საკმაოდ ხშირად, დაცვას.

არა-ძალადობა

არა-ძალადობა მწვანეთა თეორიების ფილოსოფიური საფუძვლების ძირითად ნაწილს წარმოადგენს და ყველა პრობლემისადმი ჩვენს მიდგომას განაპირობებს. შეუძლებელია პიროვნებებს, სოციალურ ჯგუფებს ან სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტების ძალადობრივი გზით მოგვარება. მწვანეების ფუძემდებლური პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები თავად ამ მიზანს უნდა შეესაბამებოდნენ. ანუ, სამართლიანობა და მშვიდობა ძალადობრივი გზებით ვერ დამყარდება.

ძალადობა შეიძლება არა მხოლოდ ფიზიკური იყოს. ადამიანების ქმედებებს და გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებს შეძლიათ პიროვნებებს უფლებები წაართვან და სოციალური უსამართლობის მიზეზი გახდნენ. სიღარიბის დასაძლევად, ჩვენი აზრით აუცილებელია ისეთი საერთაშორისო ორგანოების შექმნა, რომლებიც ეკონომიკური თანასწორობისთვის იბრძოლებენ და ადამიანის ცხოვრებას და უსაფრთხოებას პირველ ადგილზე დააყენებენ. ასეთი ორგანიზაცები ადამიანის უფლებების დაცვის დამავლდებულებელი წესების შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ.

როდესაც საქმე შეიარაღებულ კონფლიქტებთან გვაქვს, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენება გრძელვადიან შედეგს ვერ მოიტანს. მწვანეები მხარს უჭერენ მინიმალურ სამხედრო ჩარევას და სამოქალაქო საგარეო და უშიშროების პოლიტიკების გამოყენების კონცეფციას. ეს კონფლიქტები პრევენციის და მათი სამოქალაქო მართვის ძლიერი ინსტრუმენტების შექმნას მოითხოვს.

თუმცა, მწვანეები აცნობიერებენ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობას შეიძლება დასჭირდეს სამხედრო ძალის, როგორც უკანასკნელი საშუალების გამოყენება. როდესაც არსებობს სამოქალაქო პირების მიმართ მასობრივი ძალადობის გამოყენების საშიშროება, მშვიდობისმყოფელი სამხედრო ძალების გამოყენება შესაძლოა გამართლებული იყოს. თუკი პრევენციული ზომები შედეგს არ მოიტანენ, შეიძლება შეიარაღებული ჩარევა გახდეს აუცილებელი. სამხედრო ძალის გამოყენება მხოლოდ საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად უნდა მოხდეს და მხოლოდ შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს:

- უნდა არსებობდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაცემული მკაფიო მანდატი;
- ჩარევა ძალის პრევენციული გამოყენების მეშვეობით ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის და დაცვის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს;
- უნდა არსებობდეს პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ჩარევის დასრულების წესებს და სტაბილური სიტუაციის დამყარების გზებს.

და ბოლოს, მდგრადი განვითარება

მწვანეები აცნობიერებენ, რომ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, თავისუფლების, სამართლიანობის, მრავალფეროვნების და არა-ძალადობის ფასეულობებს შეიძლება სხვა პოლიტიკური ოჯახების იზიარებდნენ, და ეს, გარკვეულ წილად, ასეც არის. მწვანეებს სხვებისაგან ის განასხვავებს, რომ ჩვენ ამ ფასეულობებს ურთიერთდამოკიდებულად და განუყოფლად ვთვლით. მთლიანობაში, ისინი განსაზღვრავენ ყველა ჩვენს ქმედებას, რომელიც დედამიწაზე ჩვენი საზოგადოებების სოციალურად, კულტურულად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი განვითარების მიღწევას ისახავს მიზნად. ჩვენ მათ არა მხოლოდ სხვებთან ურთიერთობისას ვიყენებთ, არამედ ჩვენი პარტიის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრისასაც.

ევროპელები იმ ინდუსტრიალიზაციის პროცესის პიონერები გახლდნენ, რომელიც დღეს ზოგიერთი ჩვენი გლობალური პრობლემის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. როგორც მსოფლიოს ერთერთი ყველაზე მდიდარი კონტინენტის წარმომადგენლებს, ჩვენ, ევროპელებს, გვეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა მის მიერ შექმნილი ნეგატიური ტენდენციების შემობრუნებაზე და ალტერნატიული და მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავებაზე. ამ პრობლემის მასშტაბები ისეთია, რომ მისი გადაჭრა ნებისმიერი ცალკეული სახელმწიფოს შესაძლებლობებს აღემატება. ამდენად, ჩვენ გვჭირდება თანამშრომლობა, რომელშიც მთელი ევროპა – დუბლინიდან თბილისამდე, ჰელსინკიდან ლისაბონამდე, ანკარადან რეიკიავიკამდე – შეძლებს მონაწილეობის მიღებას.

ევროგაერთიანებას შესწევს ძალა გააძლიეროს ასეთი თანამშრომლობა, იმ შემთხვევაში, თუკი იგი

- ღია დარჩება ახალი წევრების მისაღებად;
- გარდაქმნის თავის სტრუქტურას და მართლაც დემოკრატიული ინსტიტუტი გახდება;
- მოახდენს თავისი პრიორიტეტების რე-ორიენტაციას განვთარების ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი მოდელების სასარგებლოდ; და
- იკისრებს გლობალურ პასუხისმგებლობას გაეროს პრინციპების შესაბამისად და ითანამშრომლებს სხვა მნიშვნელოვან ინსტიტუტებთან, მაგალითად, „ეუთო”-სთან და ევროპის საბჭოსთან მშვიდობიანი და მდგრადი მსოფლიოს შესაქმნელად.